საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2019 წლის აგვისტო)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2019 წლის აგვისტოს თვეში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/2045 ბრძანება

2019 წლის 1 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/378-ით ცვლილება შევიდა „თავისუფალ ტურისტულ ზონაში საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროს კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №1-1/2045 ბრძანებით დამტკიცებულ თავისუფალ ტურისტულ ზონაში საშუალო და მაღალი კლასის სასტუმროს კრიტერიუმებში, კერძოდ:

პირველი მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„ბ) ლიფტი – თუ სასტუმრო 2 სართულზე მეტია“.

მეორე მუხლის „ბ“ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„ბ) ლიფტი – თუ სასტუმრო 2 სართულზე მეტია“.

მე-3 მუხლი ამოღებულ იქნა.

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №254

2019 წლის 27 აგვისტოს დამტკიცდა „საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესი." საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის მიხედვით საბაჟო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოება მოიცავს საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენისას სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, საქმის განხილვის, საბაჟო სანქციის შეფარდების, გადაწყვეტილების მიღების, მიღებული გადაწყვეტილებების აღრიცხვის, აგრეთვე საბაჟო სამართალდარღვევაზე დავის შემთხვევაში დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანმდევ პროცედურებს.
საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები და მათი განხორციელების წესის თანახმად საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფა მოიცავს სამართალდამრღვევი პირის, საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ გამოსაყენებელ ღონისძიებებს და მათი განხორციელების პროცედურებს.

ბრძანება ამოქმედდა 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №259/№74

2019 წლის 29 აგვისტოს დამტკიცდა „კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საბაჟო ფორმალობებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ" ინსტრუქცია და ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კონტროლის ზონაში სატრანსპორტო საშუალებების მიმართ პროცედურებისა და სავალდებულო რეგისტრაციის ერთი ფანჯრის პრინციპით განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №988-1188 ერთობლივი ბრძანება.

ინსტრუქცია განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში განთავსებული საბაჟო ორგანოების საბაჟო პროცედურებისა და რეექსპორტის განმახორციელებელი ჯგუფების განლაგების ადგილებში შექმნილ საბაჟო კონტროლის ზონებში

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, საბაჟო საწყობის, დროებითი შემოტანის და ექსპორტის პროცედურებისა და რეექსპორტის გამოყენებასთან და საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროების შესაბამისი ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება-მოვალეობებს, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის წარდგენისა და სარეგისტრაციო დოკუმენტების გაფორმების წესებს.
ინსტრუქციის მიზანია, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიმართ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, საბაჟო საწყობის, დროებითი შემოტანისა და ექსპორტის პროცედურების და რეექსპორტის გამოყენებისა და სავალდებულო რეგისტრაციის პროცედურების გამარტივების უზრუნველსაყოფად ხელი შეუწყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების შეთანხმებულ და კოორდინირებულ თანამშრომლობას.

ბრძანება ამოქმედდა 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №407

2019 წლის 26 აგვისტოს ცვლილება შევიდა „ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №722 დადგენილებაში.

ცვლლებების შესაბამისად, დადგენიმების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:
„8. პირობითი აღიარების მინიჭებიდან 6 თვის შემდეგ სააგენტო ახორციელებს განმეორებით ინსპექტირებას, რომლის საფუძველზე:
ა) ბიზნესოპერატორს უგრძელდება პირობითი აღიარება, თუ ბიზნესოპერატორის მიერ არ არის შესრულებული სააგენტოს ყველა მითითება და მისი საქმიანობა სრულად ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:
ა.ა) ბიზნესოპერატორთან აღმოჩნდა ისეთი შეუსაბამობა, რომელიც მაღალ რისკს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რომელიც არის კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებითი შეჩერების საფუძველი, ასეთი სახის შეუსაბამობის აღმოფხვრამდე;
ა.ბ) ბიზნესოპერატორს, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად ევალება დანერგოს და არ აქვს დანერგილი სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად;
ბ) ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება, თუ მისი საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2. მე-3 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:
„8^1. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორს უარი ეთქვა პირობითი აღიარების გაგრძელებაზე და ის მიმართავს განცხადებით სააგენტოს აღიარების შესახებ, განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტომ ადგილზე უნდა განახორციელოს ბიზნესოპერატორის ინსპექტირება. ბიზნესოპერატორს ენიჭება აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საქმიანობა, ინსპექტირების შედეგების მიხედვით, სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უარი ეთქმება აღიარებაზე.“.
3. მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარისის „გ“ ქვეპუნქტი:
„გ) ბიზნესოპერატორს, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად ევალება დანერგოს და არ აქვს დანერგილი სურსათის უვნებლობის პროცედურები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად.“.

დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის პირველი იანვრიდან

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №258/№73

2019 წლის 29 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №258/№73-ით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესი და ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №985-№1187 ერთობლივი ბრძანება. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით საზღვრის გადაკვეთისას ფიზიკურ პირთა საპასპორტო კონტროლისა და ფოტოგადაღების, ამ პირთა მიერ გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვისა და კონტროლის წესებს, კონტროლის განხორციელების პროცესში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოსა და საბაჟო ორგანოების ფუნქცია-მოვალეობებს და მათ შორის თანამშრომლობის წესებს.

ბრძანება ამოქმედდა 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2019 წლის 29 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257-ის საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციები. კერძოდ, დამტკიცებულ იქნა:

1. ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“.
2. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“.
3. ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“.
4. ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“.
5. ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“.
6. ინსტრუქცია „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“.
7. ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“.
8. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“.
9. ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“.
10. ინსტრუქცია „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“.
11. ინსტრუქცია „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“.
12. ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“.
13. ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“.
14. ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“.
15. ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ“.
16. ინსტრუქცია „რეექსპორტის შესახებ“.
17. ინსტრუქცია „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ“.
18. ინსტრუქცია „საქონლის განკარგვის შესახებ“.
19. დეკლარირების კლასიფიკატორი.

აღნიშნული ინსრუქციები თან ერთვის ბრძანებას დანართების სახით.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge